# ოქმი N 10

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 30 სექტემბერი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

1. დოდო გაბუნია
2. მზია ლემონჯარია
3. ქეთევან ოდიშარია
4. ჯემალ ნადარაია
5. კახა მიქაბერიძე
6. ლაშა ცატავა
7. გიორგი ხურცილავა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. გაბუნია - კომისიის თავმჯდომარე

**დღის წესრიგი:**

**1.** საინიციატივო ჯგუფის განცხადების (N272 28.09.2015) განხილვა (თამარ გვერდწითელისთვის ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე)

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 7, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

**დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა**

**1.** საინიციატივო ჯგუფის განცხადების (N272 28.09.2015) განხილვა (თამარ გვერდწითელისთვის ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე)

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს: დ. გაბუნია -** მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საინიციატივო ჯგუფის განცხადება თამარ გვერდწითელისთვის ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე და განაცხადა, რომ 2-3 ოქტომბერს ხობის მუნიციპალიტეტი მეშვიდედ უმასპინძლებს საერთაშორისო ფესტივალს ,,სიმღერა სამეგრელოზე". ფესტივალს ეწვევა ცნობილი მომღერალი თამარ გვერდწითელი, მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული

ხალხური მუსიკისა და მეგრული სასიმღერო ფოლკლორის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მიესალმება წინადადებას მისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** ლეონიდე ლოლუა - მისი თქმით, თამარ გვერდწითელი სრულ მხარდაჭერას უცხადებს ხობის საერთაშორისო ფესტივალს, რის დასტურადაც არაერთხელ ეწვია ფესტივალს, აღნიშნულიდან გამომდინარე თვლის, რომ საინიციატივო ჯგუფის წინადადება მისაღებია მისთვის.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას საკითხის საკრებულოს ბიუროზე გატანის თაობაზე

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 7, წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე დოდო გაბუნია